საქართველო

ქალაქ თბილისის მთავრობა

დადგენილება № 01.14.11

„24" იანვარი 2001 წ.

ქ.თბილისის ცენტრალურ მაგისტრალებზე
განთავსებული ავტოსამრეცხაოების
არქიტექტურულად მოწესრიგების
ღონისძიებების შესახებ

ქ.თბილისის მთავრობა აღნიშნავს, რომ არადამაკმაყოფილებელია არქიტექტურულ - მხატვრული სახე ქალაქის ცენტრალურ მაგისტრალებზე განთავსებული ავტოსამრეცხაოებისა, რომლებიც ორიენტირებულია უშუალოდ ცენტრალური მაგისტრალების, ქუჩების მხარეს ტროტუარებზე და სავალი ნაწილის სიახლოვეს.

ქ.თბილისის მთავრობა ადგენს:

1. დაევალოს არქიტექტურისა და ქალაქის პერსპექტიული განვითარების სამსახურს-გადასინჯოს მის მიერ შეთანხმებული, ქალაქში მთავარ მაგისტრალებზე განთავსებული ავტოსამრეცხაოების პროექტები იმის დასადგენად, თუ რამდენად შესაძლებელია არქიტექტურული იერსახის გამოსწორება და შესასვლელების მოწყობა ისე, რომ უშუალოდ არ იყონ ორიენტირებული მთავარი მაგისტრალის მხარეს.

2. დაევალოს არქიტექტურულ-სამშენებლო კონტროლის ინსპექციას გადაამოწმოს განთავსებული ავტოსამრეცხაოების შესაბამისობა შეთანხმებულ პროექტებთან.

3. დაევალოს რაიონულ გამგეობებს, არქიტექტურისა და პერსპექტიული განვითარების სამსახურიდან მიღებული

ქ.თბილისის ... 201956298 №22-7 "07" 02 2001

რეკომენდაციების შესრულება შესთავაზონ სამრეცხაოების მფლობელებს შესაბამისი პროექტების დამუშავებისათვის და განახორციელონ ავტოსამრეცხაოების რეკონსტრუქცია შეთავაზებული პროექტების შესაბამისად.

4. კონტროლი დაღგენილების შესრულებაზე დაევალოს ქ.თბილისის პრემიერის მოადგილეს დ.ლვინიაშვილს.

ქ.თბილისის პრემიერი გ.შერაძე